

## შეთანხმება

საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა  
და  
ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის  
სტაგისტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლება და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობა, შემდგომში „ხელშემკვრელ მხარეებად“, წოდებულნი, ეყრდნობიან რა, ურთიერთდანიტერესებას განავითარონ თანამშრომლობა სტაგისტიკის სფეროში, და სურთ რა, გააფართოვონ ყოველმომცველი ინფორმაციის გაცვლა და გააძლიერონ ორივე სახელმწიფოს სტაგისტიკურ დაწესებულებებს შორის ურთიერთთანამშრომლობა,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ხელშემკვრელი მხარეები განახორციელებენ თანამშრომლობას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

სტაგისტიკური მაჩვენებლების სისტემების შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ მეთოლოგიური მასალებისა და დოკუმენტაციის გაცვლა;

სტაგისტიკური ინფორმაციის გაცვლა ხელშემკვრელი მხარეების მიერ წინასწარ შეთანხმებული თემების მიხედვით;

სტაგისტიკური გამოცემების გაცვლა (ყოველწლიური ცნობარების, კრებულების, ბიულეტენების, მიმოხილვებისა და სხვა) თითოეული სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ;

ურთიერთდახმარების გაწევა კომპიუტერიზებული მონაცემების ბაზის შექმნის საქმეში და ახალი ტექნოლოგიის დანერგვა;

ინფორმაციის გაცვლა მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული სტაგისტიკის სისტემაზე გადასვლის ეროვნული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მიხედვით;

გამოცდილების გაზიარება სტაგისტიკური დაკვირვების სრულყოფისა და ეროვნული ანგარიშების დანერგვის საკითხების შესახებ;

ერთობლივი შეხვედრების, სემინარებისა და კონფერენციების ჩატარება, სახელმწიფო სტაგისტიკური ორგანიზაციების საქმიანობის თანამედროვე მიმართულებებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით;

ურთიერთთანამშრომლობა საერთაშორისო სტაგისტიკურ ორგანიზაციებსა და მათ მიერ მოწოდებულ ღონისძიებებში მონაწილეობის საკითხებთან დაკავშირებით.

თანამშრომლობის მიმდინარე პრიორიტეტები ყოველწლიურად იქნება შეტანილი შესაბამის წლიურ პროგრამებში.

მუხლი 2

ხელშემკვრელი მხარეები გაუწევენ ერთმანეთს დახმარებას საბაზრო ურთიერთობების პირობებში სტაგისტიკის განვითარების საკითხებში, სპეციალისტების მომზადებასა და გადამზადებაში.

### მუხლი 3

თითოეული ხელშემკვრელი მხარის მიერ სტაგისტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო პროექტების მომზადების დროს, ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ მეორე მხარეს, როგორც გენდერში მონაწილის მოზიდვას.

### მუხლი 4

წინამდებარე შეთანხმებაში აღნიშნული ურთიერთთანამშრომლობა და დახმარება დამოკიდებული იქნება ხელშემკვრელ მხარეებზე, რომლებიც საჭირო ფინანსური მხარდაჭერას ღებულობენ ინ საერთაშორისო სტაგისტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციიდან, რომლის წევრებიც ისინი არიან ან რომელთანაც თანამშრომლობენ. წინამდებარე შეთანხმების შესრულებისას და გემოხსენებული ფინანსური დახმარების მიღებისას, საჭირო ბიუჯეტის დადგენის საკითხში ხელშემკვრელი მხარეები იმოქმედებენ ერთობლივად.

### მუხლი 5

ხელშემკვრელი მხარეები ერთობლივად განიხილავენ შეთანხმების რეალიზაციის დროს წარმოჭრილ პრობლემებს და მიიღებენ ზომებს მათ გადასაჭრელად.

საჭიროებისდა მიხედვით, ამ შეთანხმების განხორციელების მსვლელობა განიხილება ოფიციალური დელეგაციების დონეზე.

### მუხლი 6

თანამშრომლობა განხორციელდება წლიური პროგრამების შესაბამისად, რომლებიც მოიცავს თემებს, რეალიზაციის ფორმებსა და ფინანსირების საკითხებს.

ორივე სახელმწიფოს სტაგისტიკური ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინირებას ახორციელებს ერთობლივი ჯგუფი თითოეული ხელშემკვრელი მხარის სტაგისტიკური ორგანოების ხელმძღვანელების მეთაურობით.

ამ შეთანხმების ფარგლებში ხელშემკვრელი მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების დროს ისინი გამოიყენებენ ინგლისურ ენას, როგორც სამუშაოს.

### მუხლი 7

ეს შეთანხმება ძალაში შედის უკანასკნელი დიპლომატიური ნოტის მიღების დღიდან, რომელშიც მხარეები აცნობებენ ერთმანეთს შიდასახელმწიფოებრივი

პროცედურების დამთავრების შესახებ.

ეს შეთანხმება ძალაშია სამი წლის ვადით და ავტომატურად გაგრძელდება თითო წლით, თუ რომელიმე ხელშემკვერელი მხარე შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე წერილობით არ მიმართვას მეორე მხარეს შეთანხმების შეწყვეტის შესახებ.

შესრულებულია ქ. თბილისში, 1998 წლის 9 სექტემბერს, რომელიც შეესაბამება 5755 წლის 18 ლულის, ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ, ებრაულ და ინგლისურ ენებზე. ამასთან ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტიკურია. შეთანხმების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს აღმასრულებელი  
ხელისუფლების სახელით

ისრაელის სახელმწიფოს  
მთავრობის სახელით